

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2019 წლის 3 აპრილი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-6 პუნქტების, მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და 12¹ მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/07/2018 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016359) და დადგენილების:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დანართის №1-ის შესაბამისად.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის:

ა) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დარიცხვის ალტერნატიული წესი ფაქტობრივად წარმოქმნილი ნარჩენის შესაბამისად ნარჩენების შეგროვების ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებით, მოსაკრებლის ოდენობა ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე განისაზღვროს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ოდენობით.“;

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დარიცხვის წესის დადგენის, ტარიფის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის დარიცხვის პირველად დოკუმენტს წარმოადგენს ამ დადგენილების №3 დანართით განსაზღვრული შემოწმების აქტი.“.

გ) მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებული იქნეს.

3. დადგენილების თანდართული ცხრილი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით და განისაზღვროს დანართი №2-ის შესაბამისად:

„დანართი №2



დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი

№	დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები	ზომის ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ3	მოსაკრებლის ოდენობა თვეში ზომის ერთეულზე
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, გალერიები, არქივები	საერთო ფართის 1 მ ²	0,022	0,02
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1 მ ²	0,080	0,09
3	კინოთეატრები და თეატრები, საკონცერტო დარბაზები	მაცურებლის ერთი სავარძელი	0,100	0,10
4	მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები (თავშესაფარი), უმწეოთათვის უფასო სასაძილოები	მომსახურების ერთეული ადგილი	0,090	0,10
5	სკოლები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთ მოსწავლეზე, აღსაზრდელზე	0,100	0,11
6	სასტუმროები და სასტუმროს ტიპის საერთო საცხოვრებლები	მომსახურების ერთეული (საწოლი ადგილი)	1,300	1,54
7	საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	0,900	1,00
8	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმების, სტომატოლოგიური და სამედიცინო კაბინეტები	საერთო ფართის 1მ ²	0,160	0,20
9	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები და მანქები, საჯინბოები, კორტები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	ღიასაერთო ფართის 1მ ²	0,020	0,02
		დახურული საერთო ფართის 1მ ²	0,080	0,09
10	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1მ ²	0,500	0,59



11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები, ავთიაქები, საიუველირო, ანტიკვარიატის მაღაზიები, ზოომაღაზიები (სავაჭრო დარბაზი), ვეტერინარული ცენტრები	სამუშაო ფართის 1მ ²	0,250	0,29
12	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1 მ ²	0,300	0,35
13	შერეული საქონლის ბაზრობები (მათ შორის შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ბაზრობები), საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები	საერთო ფართის 1 მ ²	0,210	0,25
14	ავტოსადგომები და საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0,020	0,02
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0,080	0,9
15	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1 მ ²	0,080	0,09
16	სატრანსპორტო საშუალებების საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები, სანერგე მეურნეობები და სათბურები, ფერმები, სასაკლაოები	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0,040	0,04
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0,080	0,09
17	სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ.მომსახურების ადგილები, შავი და ფერდი ლითონების მიმღები პუნქტები	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0,020	0,02
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0,140	0,16
18	აბანოები, საუნები და საცურაო აუზები	საერთო ფართის 1 მ ²	0,180	0,21
19	სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრები	საერთო ფართის 1 მ ²	0,350	0,41
20	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1 მ ²	0,250	0,29
21	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, (გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა) კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	1,500	1,78
22	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,600	0,71



23	საცხოვრები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0,260	0,30
24	ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1 მ ²	0,36	0,42
25	ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0,008	0,01
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0,080	0,09
26	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბალები, ატრაქციონები, მდინარეებზე, ტბებზე და ზღვაზე არსებული კერძო ან სარგებლობის უფლებით გაცემული სანაპირო ზოლები	საერთო ფართის 1 მ ²	0,008	0,01
27	სამხედრო ნაწილები და პენიტენციარული სისტემები	ერთი ადგილი	0,400	0,47
28	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	საერთო ფართის 1 მ ²	0,008	0,01
29	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა)	საერთო ფართის 1 მ ²	0,040	0,05

ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის

$$M = G \times R$$

M - ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისთვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის. (ლარი);

G - მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

R - ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.).“.

4. დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №3:

„დანართი №3

შემოწმების აქტი

ქ. ოზურგეთი

შემოწმების თარიღი „___“ _____“ 20___ წ.



(უფლებამოსილი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები)

(უფლებამოსილი პირი, თანამდებობა, სახელი, გვარი)

მიერ შემოწმებული იქნა _____

(ობიექტის დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი)

(შემოწმების საფუძველი)

შემოწმებას ესწრებოდა _____

(ობიექტის წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

შემოწმებით დადგინდა:

სულ გადასახდელი თანხა თვეში : _____ ლარი

შემოწმების აქტი შეადგინა:

_____ (სახელი, გვარი)(ხელმოწერა)

აქტი შედგენილია _____ ეგზემპლარად

ობიექტის წარმომადგენელი გაეცნო შემოწმების აქტს და ერთი ეგზემპლარი ჩაიბარა

_____ (სახელი, გვარი)

_____ (ხელმოწერა)“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



